შესრულდა სსკგ-ს მრავალი წლის თანამშრომლის ნ.ა. კარმანოვას წესის აგების მსახურება

2021 წლის 30 ივლისს დანიელის სლობოდის ეგრეთ წოდებულ აღდგომის ტაძარში მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების მრავალი წლის თანმაშრომლის, ნადეჟდა ალექსანდრეს ასული კარმანოვას წესის აგების მსახურება შესრულდა.

წესის აგების მსახურება სსგკ-ს თავმჯდომარის მოადგილემ არქიმანდრიტმა ფილარეტმა (ბულეკოვი) შეასრულა, მასთან თანამსახურებდნენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დეკანოზი ვალენტინ ვასეჩკო, სსგკ-ს მართლმადიდებელთაშორისი კომუნიკაციების სამსახურის მდივანი დეკანოზი იგორ იაკიმჩუკი, სსგკ-ს კომუნიკაციების სამსახურის უფროსი მღვდელი ილია კოსიხი, სსგკ-ს თავმჯდომარის მდივანი მღვდელი ალექსანდრე კარზანი.

მიცვალებულისთვის მსახურებაზე ლოცულობდნენ გარდაცვლილის ნათესავები და ახლობლები,სსკგ-ს თანამშრომლები.

მსახურების დაწყების წინ არქიმანდრიტმა ფილარეტმა (ბულეკოვი) სსკგ-ს თავმჯდომარის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტის ილარიონის სამძიმარი გააჟღერა. სამძიმრის წერილში ნათქვამია: „მწუხარებით შევიტყვე, რომ თავისი ცხოვრების 68-ე წელს უფალთან წარსდგა ნადეჟდა ალექსანდრეს ასული კარმანოვა, მრავალი წლის თანამშრომელი მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილებისა, მანამდე კი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგამომცემლო განყოფილების თანამშრომელი.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, დაწყებული 16 წლიდან, მან დაუთმო საეკლესიო სფეროში მოღვაწეობას, ჰქონდა სარწმუნოება და კეთილი გონება (1 ტიმ. 1. 18-19). თითქმის 40 წელი, 1982 წლიდან, მან იმუშავა სსგკ-ში. ყველა ვინც ნადეჟდა ალექსანდრეს ასულთან ერთად მუშაობდა, იცნობდა მას როგორც წიგნიერ, შემსრულებელ და დისციპლინირებულ თანამშრომელს, რომელიც პასუხისმგებლობით ეკიდეობდა მისდამი მინდობილ საქმეს და ყოველთვის მზად იყო თავისი კოლეგების დასახმარებლად.

გულწრფელად ვუსამძიმრებ მიცვალებულის ნათესავებსა და ახლობლებს, ყველას, ვინც მას იცნობდა და ვისაც ის უყვარდა – ამ მძიმე დანაკლისის გამო. მწამს, რომ ზეციურ სასუფეველში მიიღებს ის ჯილდოს და განსვენებას ყველა იმასთან ერთად, რომელთაც მიწიერ ცხოვრებაში თავმდაბლობითა და ღვთის აღთქმულისადმი რწმენით გადაუტანიათ შრომა და სნეულება, მწუხარება და გაჭირვება, და გაიგონებს მაცხოვრის ხმას: შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა (მთ. 25. 21).

უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ახლადშესვენებული მხევალი ღვთისა ნადეჟდას სული საყოფელსა მართალთასა დააწესოს, წიაღსა შინა აბრაჰამისსა განუსვენოს, მართალთა თანა აღრაცხოს, და ჩვენ შეგვიწყალნეს, რამეთუ მოწყალე არს და კაცთმოყუარე.

საუკუნოდ იყოს ხსენება ამისი!“

თავის მხრივ არქიმანდრიტმა ფილარეტმა აღნიშნა, რომ ნ. ა. კარმანოვა, რომელიც თითქმის 40 წელი მუშაობდა საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილებაში, უპირველესად დაგვამახსოვრდება დადებითი ადამიანური თვისებებით, რომელსაც ის ფლობდა, ადამიანებთან თავისი გულწრფელი ურთიერთობებით.

„ნადეჟდა ალექსანდრეს ასული იყო ძალიან კეთილად განწყობილი განყოფილების ყველა თანამშრომელთან, ახსოვდა, თუ ვის ცხორებაში რა ხდებოდა. ჩვენ ვცდილობდით სამაგიერო გადაგვეხადა მისთვის სიყვარულით, – აღნიშნა არქიმანდრიტმა ფილარეტმა. – ლოცვებს აღვავალენთ ღვთისადმი იმ იმედით, რომ უფალი უხვად მიაგებს მას სიყვარულით, რომელსაც ის ასე ეძებდა აქ, მიწაზე. ვიმედოვნებთ, რომ არ დაგვავივიწყებს იგი თავის ლოცვებში, და განაგრძობს ჩვენდამი ისეთივე სიყვარულით მოპყრობას, როგორსაც ჩვენ ყოველთვის ვხედავდით მის სახეზე“.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87819/